თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №53
2014 წლის 28 თებერვალი

ქ. თეთრიწყარო

,, I კლასის შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობის შესახებ” თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 18 ნოემბრის №14/4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება ,,I კლასის შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობის შესახებ”თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 18 ნოემბრის №14/4 დადგენილების (სსმ ვებგვერდი, 111121022, 25/11/2011, სარეგ. კოდი 330090020.35.157.016063) მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა განთავსებისთვის/მშენებლობისთვის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“, ,,ტ“, ,,უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის მშენებლობის ნებართვის აღება სავალდებულოა (გარდა გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრების სამუშაოებისა), თუ ასაშენებელი/დემონტაჟისთვის განკუთვნილი შენობა ნაგებობა მდებარეობს:

ა) ამ დადგენილების №1 დანართით გათვალისწინებულ ზონაში;

ბ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის №287 ბრძანებულებით განსაზღვრული საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფო მნიშვნელობის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ორივე მხარეს მიმდებარე 50-მეტრიან ზოლში;

გ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ზონებში შენობა-ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟი აკრძალულია ან შეზღუდულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით);

დ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ „საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №655 ბრძანებულებით განსაზღვრულ კურორტებსა და საკურორტო ადგილებში.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი დალაქიშვილი**